

<https://www.accaglobal.com/vn/en/member/member/accounting-business/2019/06/insights/potential-digitalisation.html>

ეს სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა *ბუღალტრული აღრიცხვის ჟურნალში*. ©2020 ნაფიც პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია. ACCA გასცემს თარგმნის უფლებამოსილებას შემდეგი პირობით: ასოციაცია პასუხისმგებელია დოკუმენტის ორიგინალ ინგლისურ ვერსიაზე და არა მისი თარგმანის ხარისხზე; თუ რაიმე მიზეზის გამო ადგილი აქვს ინგლისური ვერსიის განახლებას, ACCA არ არის ვალდებული აღნიშნულის შესახებ აცნობოს ბაფ-ს/ მსოფლიო ბანკს / SARAS -ს.

## რატომ უნდა აითვისონ მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებმა დიგიტალიზაციის პოტენციალი

მცირე და საშუალო პრაქტიკოსებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და ჩაერთონ მათ პროფესიაში მიმდინარე ციფრულ ტრანსფორმაციაში

*ეს სტატია პირველად გამოქვეყნდა 2019 წლის ივნისში ჟურნალის - „ბუღალტრული აღრიცხვა და ბიზნესი“ საერთაშორისო გამოცემაში.*

მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა და მათი პროფესიონალი ბუღალტერ-მრჩევლები, რომლებიც ხშირად მცირე პრაქტიკის მქონე არიან, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათთვის მითითებების მიწოდების და დახმარების თვალსაზრისით. ამდენად, მცირე პრაქტიკის მქონე ბუღალტრული ფირმების სიჯანსაღეს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობაში.

თუმცა არსებობს სფერო, სადაც მცირე და საშუალო ბუღალტრული ფირმები (SMP) ჩამორჩენის რისკის წინაშე დგანან და ეს ახალი ტექნოლოგიების სრული უპირატესობის გამოყენებაში გამოიხატება. ACCA-ს ანგარიშში, „ენტუზიაზმით აღსავსე პრაქტიკოსი: მცირე და საშუალო პრაქტიკის დიგიტალიზაცია“ ნათქვამია: „ელექტრონული ცხრილის გამოგონების შემდეგ, დიგიტალიზაცია წარმოადგენს უდიდეს შესაძლებლობას, რაც ბუღალტრებს ოდესმე ჰქონიათ თავიანთი საქმიანობის გარდასაქმნელად“. ტექნოლოგიური ინოვაციები ცვლიან ბუღალტრის როლს, ამარტივებენ განმეორებად ამოცანებს და თავისუფლებას ანიჭებენ ბუღალტრებს, რომ მათ როგორც ბიზნეს პარტნიორებმა და მრჩევლებმა იმოქმედონ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრები ისტორიულად ლიდერობდნენ ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადრეული დანერგვით (საფინანსო მიმართულება იყო ერთ-ერთი პირველი ავტომატიზებული ფუნქცია), არსებობს

წუხილი, რომ მცირე პრაქტიკოსები ნელა იყენებენ დიגיტიზაციის პოტენციალს. ანგარიშში ნათქვამია : „გავრცელებულია მოსაზრება, რომ მცირე პრაქტიკოსები შეიძლება ჩამორჩებოდნენ თანამედროვე ციფრული სამყაროს მოთხოვნებს და ჯერ კიდევ იყენებდნენ სტაციონარულ კომპიუტერებს („დესკტოპებს“) ან მუშაობდნენ ქალაქის დოკუმენტებზე“.

ACCA-ს ანგარიში დეტალურად აღწერს დიგიტიზაციის სარგებელს იმ მომხმარებლების გადმოსახედიდან, რომლებიც აღრიცხვის პრაქტიკის ციფრული ტრანსფორმაციის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ. მაგალითების და რეალური გამოცდილების საფუძველზე ანგარიში მკაფიოდ განსაზღვრავს დიგიტიზაციის სარგებელს მცირე პრაქტიკოსებისთვის, ისევე როგორც მისი დანერგვის გეგმას.

ანგარიში მიუთითებს, რომ „მათ, ვინც თანამშრომლობენ მცირე და საშუალო საწარმოების (SME) სექტორთან, ახლა უკვე აქვთ ბიზნესკონსულტანტების როლის შესრულების უპრეცედენტო შესაძლებლობა.“ თუმცა გასათვალისწინებელია მეორე მხარეც: სახელმწიფოები სულ უფრო ინტენსიურად ახორციელებენ საგადასახადო ინფორმაციის მიღებას ელექტრონული საშუალებებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ციფრული დღის წესრიგის დანერგვა არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა.

## დანერგვის გეგმა

ბუღალტრების მიერ თავიანთ საქმიანობაში აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა არასდროს ყოფილა უფრო ძლიერ დასაბუთებული. და მაინც, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ხელმისაწვდომი ვარიანტების, აპლიკაციების და მომწოდებლების დიდი რაოდენობის გამო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი შესაძლოა შიშის მომგვრელი და დამაბნეველი იყოს. ანგარიში განსაზღვრავს დანერგვის გეგმას, რომელიც ემყარება იმ ფირმების გამოცდილებას, რომელთაც ადრეულ ეტაპზე დანერგეს ახალი ტექნოლოგიები. გეგმაში გამოყოფილია სამი ეტაპი:

1. სტრატეგიის შემუშავება და აპლიკაციების შერჩევა. ეს მოიცავს საბაზრო სეგმენტის იდენტიფიცირებას, რომელზეც პრაქტიკა /საქმიანობა იქნება ფოკუსირებული და აპლიკაციების ნაკრების ('app stack') განსაზღვრას, რომელიც დიგიტიზებული პრაქტიკის ძირითადი ნაწილია.

2. გუნდში კომპეტენციებისა და შესაძლებლობების განვითარება.
3. პრაქტიკის შენარჩუნება და გაფართოება - კომპიუტერული პროგრამების ცვალებადი გარემოს გამოყენება და ახალი შესაძლებლობების ძიება, კლიენტების განვითარების პარალელურად.

ანგარიში ასევე უსვამს ხაზს რომ დიგიტალიზაცია არ არის მხოლოდ საჭირო ტექნოლოგიის ათვისება. ის ბუღალტრების მხრიდან საფუძვლიან ადაპტაციას მოითხოვს. დიგიტალიზაციის საფუძველია ბუღალტრებისა და კლიენტების მიერ „ღრუბლის“ (cloud-hosted) ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის გამოყენება, მაგრამ არაფერი შეიცვლება თუკი ბუღალტრები ისევ ისე განაგრძობენ მუშაობას, როგორც ადრე: „ამ მოდელის წარმატებით დანერგვა ბუღალტრებს მისცემს საკუთარი თავის წარმოჩენის შესაძლებლობას სტრატეგიული რჩევების მიწოდებით კლიენტებისგან შეგროვებული მონაცემების გამოყენების საფუძველზე. ამ მოდელის წარმატება ტრადიციული მცირე პრაქტიკოსებისგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს უნარ-ჩვევების და ნიჭის მიმართ. ბუღალტრის, როგორც ნამდვილი და საიმედო მრჩევლის მიერ მონაცემების დამატებითი ღირებულების მქონე ინფორმაციად გარდაქმნის და შემდეგ ეფექტური და კონსტრუქციული კომენტარის მიწოდების უნარი მნიშვნელოვანია.

ანგარიშის ხედვა მომავლის ბუღალტერს აღწერს, როგორც „მრავალმხრივ ინდივიდს“. გადაჭარბებული არ იქნება, თუ მათ აღვწერთ, როგორც კიბორცებს: როდესაც ბიზნესი კომუნიკაციას დაამყარებს თავის ბუღალტერთან, ამ უკანასკნელს წვდომა ექნება ბიზნესის ყველა ფინანსურ მონაცემთან და ბუღალტრის ადამიანურ გონებას დაემატება აპლიკაციები, ინსტრუმენტები და ხელოვნური ინტელექტი.

თუკი ეს საშიშად ჟღერს, დამამშვიდებელი სიტყვებიც შეიძლება მოვიშველიოთ მათგან ვინც უკვე წარმატებით გაიარა დიგიტალიზაციისკენ მიმავალი გზა. ანგარიშის თანახმად, ყველა დისკუსიაში ერთი სიტყვა „სიყვარული“ ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა სხვა სიტყვებთან შედარებით. „ციფრულმა ბუღალტრებმა გვითხრეს, რომ მათ უყვართ ციფრული ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია მათი ცხოვრების გამარტივება, უყვართ თანამოაზრე კლიენტებთან მუშაობა, უყვართ საკუთრივ ბუღალტერია, უყვართ თავიანთი სამუშაო და ცხოვრება“.

ლიზ ფიშერი, ჟურნალისტი.